მინსკი...

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 15 ივლისი.

“დინამო” (მინსკი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

მინსკი: დენისენკო, რიომინი, ზარემბო, სავოსტიკოვი, არზამასცევი, უსატორე, მოზერი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი (აფშევი), დათუნაშვილი.

მსაჯი: ს. ალიმოვი (მოსკოვი).

მინსკის “დინამო” საკმაო ხანია გამოდის ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი მთავარი ბომბარდირის - მუსტიგინის გარეშე. გუშინ ეს აგრესიული ფეხბურთელი კვლავ ჩადგა მწყობრში და მინსკელ თავდასხმასაც მეტი სიმძლავრე მიეცა. მიუხედავად ამისა, თბილისელთა დაცვა და მეკარე კოტრიკაძეEმოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.

რა თქმა უნდა, მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი იყო ის, როცა ს. ალიმოვმა პენალტი დანიშნა სტუმრების კარში. მეკარე კოტრიკაძემ შეძლო პოგალნიკოვის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება და კარიც გადარჩენილ იქნა. ბოლო წუთებში ორივე გუნდი თითქოს შეურიგდა ფრეს და ბრძოლაც ასე დამთავრდა - 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს თბილისელებმა - 4:0.

“ლელო”, 16 ივლისი, 1964 წ.